



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 2/1395

2015 წლის 28 ოქტომბერი

ქ.ლაგოდეხი

**სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 85-ე, 86-ე და 88-ე მუხლების, „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის N20 დადგენილების შესაბამისად

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს დებულება დანართის სახით.
2. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია

## მუნიციპალიტეტის გამგეობასთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს დებულება

ეს დებულება განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში-საბჭო) უფლებამოსილებებს, მისი შექმნისა და საქმიანობის წესს;

### თავი პირველი ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ცნება

საბჭო არის მუნიციპალიტეტის გამგებლის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.

#### მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიზნები

##### 1. საბჭოს პრინციპებია:

- ა) კანონიერება;
- ბ) თანასწორობა;
- გ) საჯაროობა;
- დ) მიუკერძოებლობა;
- ე) კოლეგიურობა;
- ვ) საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა.

##### 2. საბჭოს მიზანია:

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- ბ) მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებსა და გამგეობას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა;
- გ) მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობაზე საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელება;
- დ) მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობის ეფექტურობის, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- ე) მოქალაქეთა ინტერესების წარმოდგენა და დაცვა მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობაში.

### მუხლი 3. საბჭოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. საბჭოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები და ეს დებულება;
2. საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს რომლებიც არ არის მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით წყვეტს საბჭო.

### მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან საბჭოს წევრები, საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;
2. საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით;
3. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები;
4. საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. საბჭო უფლებამოსილი არ არის თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა;
5. საბჭო უფლებამოსილია თავისი საქმიანობის წარმართვის და მისი ხელშეწყობის მიზნით საკუთარი შემადგენლობიდან აირჩიოს საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
6. საბჭო უფლებამოსილია საბჭოს სხდომის ორგანიზების, სხდომის ოქმის შედგენის და გაფორმების და სხვა ორგანიზაციული ფუნქციების განსახორციელებლად აირჩიოს საბჭოს მდივანი (შემდგომში - მდივანი).

#### თავი მეორე

### საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს წევრი

#### მუხლი 5. საბჭოს თავმჯდომარე

1. საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან დამსწრეთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, 2 წლის ვადით ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს;
2. საბჭოს თავმჯდომარე უძღვება საბჭოს სხდომებს, უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის გამგებელისათვის წარდგენას და ახორციელებს ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;
3. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლებამოსილებებს მისივე დავალებით ახორციელებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი;
4. საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

#### მუხლი 6. საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საბჭოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყდება თუ:
  - ა) სასამართლოს მიერ აღიარებულია გარდაცვლილად ან გამოცხადებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად;

- ბ) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
- გ) აღარ არის რეგისტრირებული შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- დ) მიმართა საბჭოს გადადგომის განცხადებით;
- ე) არასაკატიო მიზეზით ზედიზედ 3 სხდომაში არ მიუღია მონაწილეობა;
- ვ) სასამართლოს ძალაში შესული განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა.
- ზ) გარდაიცვალა;

## **მუხლი 7. საბჭოს წევრი**

### **1. საბჭოს წევრი უფლებამოსილია:**

- ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში, მოახდინოს საკითხის ინიცირება, მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;
  - ბ) შევიდეს და გადაადგილდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში ამ ორგანოს მოსამსახურეთათვის დაწესებული რეჟიმის (სპეციალურის გარდა) შესაბამისად;
  - ბ) დაესწროს და წინასწარი წერილობითი მიმართვის გარეშე მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის გამგეობის და მათ დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების სხდომებში. მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;
  - გ) შეხვდეს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
  - დ) საბჭოს და მუნიციპალიტეტის გამგებელს წერილობით წარუდგინოს თავისი შენიშვნები და მოსაზრებები;
  - ე) ისარგებლოს ამ დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებებით.
2. საბჭოს წევრის გამოწვევა დაუშვებელია;
3. საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

## **მუხლი 8. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა**

### **1. საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება თუ:**

- ა) სასამართლოს მიერ აღიარებულია გარდაცვლილად ან გამოცხადებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად;
- ბ) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
- გ) აღარ არის რეგისტრირებული შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე;
- დ) მიმართა საბჭოს წევრობის შეწყვეტის განცხადებით;

- ე) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3 სხდომაში არ მიუღია მონაწილეობა;
- ვ) სასამართლოს ძალაში შესული განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა.
- ზ) გარდაიცვალა;

**თავი მესამე**  
**საბჭოს უფლებამოსილებები და დაკომპლექტების წესი**

**მუხლი 9. საბჭოს უფლებამოსილებები**

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია:

- ა) წინასწარ განიხილოს მუნიციპალიტეტის გამგებლის სამუშაო გეგმა და პროექტები, გამოთქვას მოსაზრებები და შეიმუშავოს რეკომენდაციები განხილულ პროექტებთან დაკავშირებით;
- ბ) მოითხოვოს საბჭოსა და მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთობლივი სხდომის ჩატარება სპეციალური დღის წესრიგით;
- გ) მოამზადოს, განიხილოს და მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგინოს წინადადებები მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების და მათი მოგვარების შესაძლო გზების შესახებ;
- დ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოაწყოს დისკუსიები და საზოგადოებრივი განხილვები;
- ე) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვების და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში;
- ვ) მოისმინოს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების ანგარიშები;
- ზ) განახორციელოს საბჭოს დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები;

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შეიმუშავებული წინადადებები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა და მას სავალდებულო ძალა არ აქვს.

**მუხლი 10. საბჭოს დაკომპლექტების წესი**

- 1. საბჭო შედგება არანაკლებ 10 წევრისგან. წევრთა რაოდენობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი;
- 2. საბჭოს წევრთა ნახევარს შეადგენს, როგორც წესი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები, ხოლო ნახევარს ორგანიზაციული ნიშნით წარდგენილი პირები;
- 3. საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ:
  - ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფს (არანაკლებ 10 კაცის შემადგენლობით);

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტს და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირს;

4. საბჭოს დაკომპლექტების შესახებ მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ როგორც ელექტრონულად (ვებ-გვერდის მეშვეობით), ასევე წერილობითი ფორმით გამგობის შენობაში სპეციალურ სტენდზე განთავსებით, საბჭოს დაკომპლექტებამდე 1 თვით ადრე;

5. საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის მსურველებს უფლება აქვთ მუნიციპალიტეტის გამგებელს საზოგადოებრივი საბჭოს წევრად რეგისტრაციის შესახებ განცხადებით მიმართონ საბჭოს დაკომპლექტების შესახებ ბრძანების გამოქვეყნებიდან საბჭოს დაკომპლექტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ნებისმიერ დროს;

6. მუნიციპალიტეტის გამგებელი საბჭოს დაკომპლექტების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განაცხადების მიღების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მუნიციპალიტეტის გამგებელი საბჭოს აკომპლექტებს თავისი დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე.

#### თავი მეოთხე

#### საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღება

**მუხლი 11. საბჭოს სხდომის მოწვევის უფლების მქონე სუბიექტები:**

1. საბჭოს სხდომის მოწვევის ინიცირების უფლება აქვთ:

ა) მუნიციპალიტეტის გამგებელს საკუთარი ინიციატივით;

ბ) საბჭოს თავმჯდომარეს;

გ) საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ს.

**მუხლი 12. პირველი (სადამფუძნებლო) საბჭოს სხდომის მოწვევა**

1. საბჭოს პირველ სხდომას დაკომპლექტებიდან 3 დღის ვადაში იწვევს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. პირველი (სადამფუძნებლო) საბჭოს სხდომა მოიწვევა იმავე წესით რაც ამ დებულებით დადგენილია რეგულარული საბჭოს სხდომის მოწვევისთვის.

**მუხლი 13. საბჭოს სხდომის მოწვევა**

1. საბჭოს სხდომა იმართება 3 თვეში ერთხელ მაინც. საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეუძლია მუნიციპალიტეტის გამგებელს, საბჭოს თავმჯდომარეს და საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ს;

2. რიგგარეშე სხდომის მოწვევის ინიციატივა რეგისტრირდება გამგობის ადმინისტრაციულ სამსახურში და სხდომა იმართება რეგისტრაციიდან ერთი კვირის ვადაში;

3. საბჭოს სხდომების გამართვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის გამგობის ადმინისტრაციული სამსახური .

**მუხლი 14. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება**

1. სხდომას წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში მისი დავალებით საბჭოს ერთ-ერთი წევრი;
2. საკითხის ინიცირების უფლება აქვს საბჭოს წევრს, საბჭოს თავმჯდომარეს და მუნიციპალიტეტის გამგებელს.
3. მუნიციპალიტეტის გამგებელი ან მათი წარმომადგენელი უფლებამოსილია დაესწროს სხდომას სათათბირო ხმის უფლებით;
4. საბჭო უფლებამოსილია თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
5. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით;
6. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით.

#### **მუხლი 15. მუნიციპალიტეტის გამგებლის ვალდებულებები საბჭოსთან მიმართებით**

1. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალდებულია:
  - ა) საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოსთვის წარდგენამდე;
  - ბ) საბჭოზე განსახილველად წარადგინოს მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები;
  - გ) საბჭოსთან ერთად განიხილოს სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;
  - დ) საბჭოსთან ერთად განიხილოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები;
  - ე) წელიწადში ერთხელ საქმიანობის სრული ანგარიშით წარსდგეს საბჭოს წინაშე.

#### **თავი მეხუთე**

#### **დასკვნითი დებულებები**

#### **მუხლი 16. დასკვნითი დებულებები**

1. საბჭო იქმნება მუნიციპალიტეტის გამგებელს უფლებამოსილების ვადით.
2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან მისი გაუქმება ხდება მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე.